რედაქცია
მ[...]ნ[...]ის [...]ის თავში მარცხნივ [...] ხიდიან ხალხში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“ „ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ ре[дакціи] „Дроеба“ „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ „ივერია“ ერთად. | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
[...] ერთი სტრიქონი ადგილზე 1 კაპ., [...] ადგილზე ნახევარი კაპ. [...] მეორეთ ხელახლად [...] მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფულით კერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენაზედ.

პირველი ლვინობისთვიდამ წლის დამლევამდის
**დროება**
ღირს სამი მანეთი
**ივერია**
ოთხი მანეთი
„დროება“ და „ივერია“ ერთად
შვიდი მანეთი

## იმერეთის სამღვდელოების შემწეობაზე

ტფილისი, 8 ოკტომბერს.

დიდი ხანია, რაც იმერეთში და სამეგრელოში მღვდლების ჯამაგირზე ლაპარაკობენ. მეტის-მეტათ ღარიბი და შეწუხებული იმერელი სამღვდელოება მოუთმენელად ელის მმართებლობისაგან იმ გვარ შემწეობას, რა გვარ შემწეობასაც ხაზინა აძლევს ქართლ-კახეთის ეპარხიის სამღვდელოთ და საეკკლესიო მსახურთა; მაგრამ ეს შემწეობა ჯერ არსაიდამა სჩანს, თუმცა კი, როგორც ჩვენ ნამდვილად ვიცით, კავკასიის მმართებლობამ დიდი ხანია, რაც გადასწყვიტა ამ გვარი შემწეობის მიცემა.

მმართებლობამ დაინახა, რომ საქართველოს სამღვდელოება ვერ მოუტანდა ხალხს ჯეროვან ნაყოფს, რომ რელიგიური და ზნეობითი გავლენა სამღვდელოებისა ხალხზე, უბრალო და მკვდარი სიტყვები იქნებოდნენ, თუ ეს სამღვდელოება დარჩებოდა იმ მდგომარეობაში, რომელშიაც ის იძულებულია ებრძოლოს თავის გაჭირვებას და ამის გამო დანიშნა საკუთარი პრისუტსტვიე: ერთი ქართლ-კახეთის ეპარხიისათვის და მეორე იმერეთისა და გურიის ეპარხიებისათვის და ამ პრისუტსტვიებს მიანდო გამოკვლევა საქართველოს სამღვდელო პირთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელი წყაროებისა.

ქართლ-კახეთის ეპარხიის პრისუტსტვიემ თავისი მინდობილება შეასრულა და დიდ მთავარის შუამდგომლობით, უმაღლესად დამტკიცდა, (22 სეკტემბ. 1870 და 1873 წ.), რომ ქართლ-კახეთის სამღვდელოებას კავკასიის საზოგადო შემოსავლიდამ, წელიწადში 66,540 მან. ეძლიოს. ეს შემწეობა დღეს სრულათ ეძლევა ხსენებულ ეპარხიის სამღვდელოებას.

ახლა იმერეთის ეპარხიის პრისუტსტვიემაც შეასრულა თავისი შრომა. ამ პრისუტსტვიის დასკვნით, როგორც თბილისისაში, არც ქუთაისის გუბერნიაში არის ღონისძიება სასულიერო წოდების პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც ქართლ-კახეთის ეპარხიას, იმერეთის ეპარხიასაც ისევ ხაზინამ უნდა უშველოს, და სამღვდელოებას პირ-და-პირ ხაზინიდამ უნდა დაენიშნოს შემწეობა.

ჩვენ წაგვიკითხავს ამ პრისუტსტვიის მთავრობასთან წარდგენილი უწყება და საინტერესოთ ვრაცხთ მოვიყვანოთ იქიდამ ზოგიერთა ცნობები.

ამ ცნობებიდამ სჩანს, რომ ქუთათაისის გუბერნიაში ყოფილა 721 შტატის ეკკლესია კრებულით. ამ რიცხვიდამ სამი სობორო, ერთი უმრევლო ეკკლესია, ხუთი ქალაქის მრევლის ეკკლესია და 712 სოფლის საყდრები. სობოროებში არის: ერთში 15 პირი, მეორეში—13 და მესამეში —11. მრევლის ეკკლესიებში საზოგადოთ არის ერთი მღვდელი და ერთი პრიჩეტნიკი. ორ-ორი მღვდელი ჰყავს 65 ეკკლესიას, ორ-ორი პრიჩეტნიკი 82-ს. სულ არის: სობოროებში დეკანოზები და მღვდლები—12, პროთო-დიაკვნები, დიაკვნები და იპოდიაკვნები 15, საეკკლესიო მსახური —14. დანარჩენ 718 ეკკლესიებში არის 783 მღვდელი და 800 პრიჩეტნიკი.

მრევლში სცხოვრებს, კომლობით

| | 1 მღვდ. მრევლ. | 2 მღვდ. მრევ. |
|---|---|---|
| ქუთ. უეზ. | 50-დამ 200-ს | 140-მ 330-ს |
| შორაპნ. | -40 — 200 | 161—239 |
| რაჭის | — 44 — 151 | „ —165 |
| სენაკის | -30 — 241 | 143—287 |
| ზუგდიდ | -48 — 217 | 191—400 |
| ლეჩხუმ. | -39 — 100 | „ — „ |
| ოზურგ. | -26 — 168 | 186—190 |

ამ უწყების თანახმად, ქუთაისის ეპარხიის პრისუტსტვიემ ითხოვა სამღვდელოების შესაწევნელათ 111,001 მან. წელიწადში. ამ ფულიდამ, პრისუტსტვიის ჰაზრით, სამს სობოროს უნდა მოხმარდეს 4,714 მან. ექვსს ქალაქის სამრევლო ეკკლესიებს — 2,505 მან. და დანარჩენ სოფლის კრებულთ—103,782 მან.

ამ გამოანგარიშებით ქალაქის მღვდლებს უნდა ექმნეს 200-დამ 300 მანეთამდე და პრიჩეტნიკებს ქალაქებში 90—120 მ. სოფლის მღვდლებს უნდა ხვდეს ამ ფულიდამ 70 მან. ვიდრე 200 მანეთამდის და პრიჩეტნიკებს 24 მან. 60 მანეთამდის წელიწადში.

ეს შემწეობა, რომელიც ითხოვა

---

«დროების» ფელეტონი, 9 ოკტომ.

## ტატე.

(ამბავი ხალხის ცხოვრებიდგან.)

### I

ბინდ-ბუნდია; ის-ის იყო ამოჰყო თავი აღმოსავლეთზე ხარიპარია, ბრჭყიალა, ვარსკვლავმა, ამ ღამის მეხრეების ღამის ლამპარმა, ამ გლეხების ღამის საათმა.

სოფელში აქა-იქიდგან ყაყანის ხმა მოისმის: იქ მწყემსი ყვირის, დედაკაცი მიერეკება ბატებს „ბული-ბულის“ ძახილით; აქ უდროულათ მომავალებელი ძროხა შესაწუხარის ხმით უბღავის თავის ხბოს და ეს ბღავილი, და ეს ყაყანი ამ ბინდ-ბუნდს სასიამოვნოთ ხდის.

ლაგდება ყოველისფერი. თითოოროლადგან ბაკის კარებთან კიდეც მოიკეცეს სავახშმოთ; გაჩნდა წინ ხონჩა და ლობიოს ჯამიც მოდის, რომელსაც შეუბრალებელი ბოლო მოელის: მუშის ტლანქი ხელი და ერთ თვალის მოხედვაზე გადაყლაპავა. მიწყნარდა, მილაგდა სოფელი. ორი სამი წამის შემდეგ, მოისმა სახრის ტლაშუნი და „ჰოტფუ“, რომელიც ამ ბნელით მოფენილ, საშიშარ სიჩუმეში, ელდასავით გავარდა. პატარა ბიჭი — მწყემსი მოერეკება კალოს ხარს, კამეჩის კუდზე ხელი უკიდია, სახრეს უტყაპუნებს გვერდებზე; კამეჩს კი ფეხებზე ჰკიდია სახრეც და მწყემსიც, იცოხნება თავისათვის და მოაბოტებს აუჩქარებლივ თითქო აქ არაფერი ამბავია. აი ბიჭმა შემორეკა ხარი კალოზე.

— სად ჯანდაბაში გდიხარ ამდენი ხანი, ჰა! შე.... და ერთი ლაზათიანათ შეუკურთხა ბიჭს მაღალმა შავშავმა, მაზარაში გახვეულმა კაცმა.

— აი ჩვენი ბაგი გვერდზე, ჭალი პირსა, ისემიანთ...უ:..დავრაშელიძიანთ ბიგოს გუთნეული ჰყავდა და... და აძოვებდნენ. მერე მე ვუთხარი, რო აქ რათ აძოვებთ მეთქი და ი ღამი მეხრემა, აი ოთარა ბიჭი როა, იმანა სწორეთ აი, ისეთი სახრე გადმომიჭირა, რო, ღვთიშობლის მადლმა სუ გველივით დავიხლაკნე...

— ინჰი, დახე, დახე!!... ჰაი ჰაი, შენი სოფლობა კი ამოვარდეს, შენი სოფლობა, კაი სოფელი შენ არა ხარ, ჰოდაი ასრე! რა უთხრა ვინც აქ პირველათ ბარი დაჰკრა, სოფელი იყოსო?! არ გაგონილა, არ თქმულა... ეს მამა ძაღლები, ე რა ოხრები, რა პირი-კომლ გასაქრობი ხალხია! ღმერთო, ღმერთო!... ღრიალებდა დიდის ხმით და იგინებოდა მაზარაში გახვეული კაცი.

ეს იყო ტატე ქოთუაშვილი. სოფელში ამას მეტს სახელს „სისხლის გუდას“ ეძახდნენ. სწორეთ წყილისაგან აქლემს გახდიდა: იმოდენას ილრიალებდა, იქაქანებდა, რომ მთელ სოფელს ერთად შეჰყრიდა. ხმა ჰქონდა კაჟივით, მაღალი, მჭახე; შავი დაგრუზული თმა, გამხმარი, როგორც ჰვარტლში გამოყვანილი აპუხტი. ამ შავი პირის სახიდგან საშიშრად გამოიცქირებოდნენ სრულიად ამ სახის შეუფერებელი ჭრელი თვალები, რომლებსაც გარშემო სიყვითლის არშია ჰქონდათ გაკრული. ერთი ამისი ბანჯგვლიანი წარბების ქვეშ გამოხედვა საშიშარი იყო, შიშის ჟრუანტელს მოჰგვრიდა კაცსა. ბავშვებს ისე ეშინოდათ ამ საშინელი კაცის შეხედულობისა, რომ ახლო ვერ გაუვლიდნენ; ასე გასანჯე, თუ აკვნის ბავშვი დაიტირებდა, „ტატე მოვიდა“-ს ეტყოდნენ და მაშინვე გაკრინცდებოდნენ.

ტატე უშვილო იყო. ეს გარემოება უფრო საშიშრად ჰხდიდა იმას სოფლის თვალში. ალბათ მაგის თავს დიდი ღვთის რისხვა არის რამეო, თორემ რატომ შვილი არ ჰყავსო; ეშმაკებთან აქვს საქმეო; ამ ღამე ძუნძულა მგელსავით სულ ქალაქულაში დაწანწალებსო, ამბობდა ცრუ-მორწმუნე ხალხი ტატეზე, თითქო ქალებში სიაროულისგან იყო იმისი უშვილობა. ერთის სიტყვით, ძალიან ეშინოდათ ტატესი, ეშინოდათ, როგორც მავნე სულისა.

მაგრამ, უნდა კაცმა სთქვას, ამ შიშთან სიყვარულს მოკლებული არ იყო ხალხი ტატესადმი. მართლა-და, ბოროტი კაცი როდი იყო ჩვენი ახირებული ტატე; სულაც არა, თქვენმა მზემა. „სისხლის გუდას“, „ავყიას“ ეძახდნენ; მაგრამ ეს წუთი სოფელი აბა მიბძანეთ, მართალს კაცს როდის ულიმის, მერე?! ტატე მართალი, სწორე, პირ-და-პირი კაცი იყო; ყოველის ფერი სიცუდ-კაცე, ფლიდობა, ორპირობა, ღალატი გლეხ-კაცობაში იმას სძაგდა, გულს უწუხებდა, აბრაზებდა და ამის გამო რომ არ აღრიალებულიყო, ვერ მოითმენდა. დიახ, რადგან ტატე ყველაფერ საქმეში წაეჩხირებოდა ხოლმე, იმიტომ უწოდეს ის საძრახისი სახელები. ბევრჯელ ტყუილად დაიწყობდა ლაპარაკს, ღრიალს, ამიტომ რომ საქმე მოატყუებდა ხოლმე. „ჯერ სწორე უნდა გაიგოს კაცმა და მერე ისე იჭიჭინოს“, იტყოდა ხოლმე გულში პირ შერცხვენილი ტატე.

ქუთაისის პრისუსტვიემ ზევრათ ნაკლებია ქართლი-კახეთის ეპარხიის პრისუსტვიისაგან გამოთხოვილს და უმაღლესად მინიჭებულს შემწეობაზე. ტფილისის გუბერნიაში მიეცა თითო მრევლის მღვდელს და პრიჩეტნიკს 143 მანეთი და 4 კაპეიკი; ქუთაისის გუბერნიის მრევლთათვის კი ითხოვენ 133 მ. და 90 კ. ე. ი. ცხრა მანეთი და თორმეტ კაპეიკით ნაკლებს. ასე, რომ თითო კომლზე ქართლ-კახეთის ეპარხიაში მღვდელ-დიაკონს ეძლევა 1 მანეთი და 57 კ. და იმერეთის ეპარხიაში კი 1 მანეთი დი 23 კაპეიკი.

ეხლანდელი მდგომარეობა იმერეთის სამღვდელოებისა უფრო ცუდია, ვინემ როდისმე.

გარდა იმ სასყიდელისა, რომელსაც ეხლა იღებს ქართლ-კახეთის სამღვდელოება, ის ძველის დროიდამ სმრვებლობდა საეკკლესიო მამულებით. მაგრამ მთავრობამ საჭიროთ დაინახა ეს მამულებიც ჩამოერთმია იმისათვის და გადაეცა ხაზინისთვის. 1869 წელს ქართლ-კახეთის ეპარხიის მამულები და 1871 წ. იმერეთის და გურიის ეპარხიებისა გადაეცა საერო უწყებას. მაგიერათ ქართლ-კახეთის ეპარხიას დაუნიშნეს და ყოველ წლივ აძლევენ 75,126 მ. იმერეთის ეპარხიას 28,886 და გურიის ეპარხიას 1,114 მანეთს.

წასრულ წელში დიდმა მთავარმა იშუამდგომლა კავკასიის კომიტეტთან, რომ სამეგრელოს საეკკლესიო მამულებიც მიელო ხაზინას და მაგიერათ დაენიშნა სამეგრელოს ეკკლესიებისათვის 20,000 მანეთი; მაგრამ ჯერ ეს საქმე კიდევ არ გათავებულა, და ყოველ შემთხვევაში სამღვდელოებას ამ ფულებიდამ ერთი ბისტიც არა ეხდება-რა.

აქედამ სჩანს, რომ იმერეთის, სამეგრელოს და გურიის სამღვდელოება მოკლებულია საშუალებას და სცხოვრებს მარტო იმით, რასაც თითონ მრევლი აძლევს. მრევლიდამ კი ძლიერ ცოტა შემოუდის ეკკლესიის კრებულს. რომ ავიღოთ ის სამრევლოები, სადა კრებულის სასარგებლოთ ორ-ორ მანეთს იხდის თითო ოჯახი, გამოვა, სულ რომ ბევრი ვიანგარიშოთ, 500 მარეთი თითო კრებულზე. მაგრამ, უმეტეს ნაწილათ კი, მღვდლის შემოსავალი ბევრათ ნაკლებია ხუთას მანეთზე. ზოგიერთ კრებულს 60 მანეთზე ზევით არა აქვს შემოსავალი თავის სამრევლოდამ. და ამასთან ამ შემოსავლიდამ კრებულმა 18-დამ 20 მანეთამდე უნდა იხადოს ყოველ წლივ სასულიერო სასწავლებელთ შესანახავად.

ადგილობრივი ღონის-ძიება სამღვდელოებისათვის მდგომარეობს მხოლოდ რამდენსამე მიწის ნაჭერში, რომლებიც ზოგიერთ ეკკლესიებს შერჩენია და 50,000 მანეთში, რომლებიც ჯერ დროებით სანახევროთ ეძლევა სასულიერო უწყებას და რომლებიც უმეტეს ნაწილათ მონასტრებისა, სობოროების და ეპარხიის მმართებლობის შესანახავად იხარჯება.

ამ გვარმა მდგომარეობამ ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოებისა, პრისუსტვიის ჰაზრით, არ შეიძლება არ ავნოს სამღვდელოების ხალხზე გავლენას, რადგანაც სამღვდელოება სრულათ არის დამოკიდებული მრევლისაგან და ამის გამო დიდმა კავკასიის ნამესტნიკმა სრული ყურადღება მიაქცია პრისუსტვიის შეამდგომლობის და იშუამდგომლა კავკასიის კამიტეტის წინაშე, რომ კამიტეტში წარუდგინოს ხელმწიფე იმპერატორის დასამტკიცებელათ ეს შუამდგომლობა პრისუსტვიისა.

ამ შუამდგომლობით, 111,001 მანეთი უნდა ყოველ წლივ ეძლიოს, როგორც შემწეობა, იმერეთის სამეგრელოს და გურიის სამღვდელოებას კავკასიის აქეთა მხრის საზოგადო შემოსავლიდამ. ეს შემწეობა უნდა დაენიშნოს სამღვდელოებას 1881 წლიდამ, რადგანაც 1880 წელში ამ შემოსავლიდამ არა რჩება, სმეტით, არაფერი, და ამასთან ეს ფული მიეცემა სამღვდელოებას შეძლების და გვარათ. შემწეობის რაოდენობა ჯერ დროებით იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენი ფული დარჩება კავკასიის საზოგადო შემოსავლიდამ. შუამდგომლობის ჰაზრით, კავკასიის ნამესტნიკს ნება ექნება ყოველ-წლივ უმატოს სამღვდელოებას ფული, სანამ ეს ფული მიაღწევს 111,001 მანეთამდის.

ეს შუამდგომლობა შარშან ნოემბერშია წასული პეტერბურღს, როგორც ვიცით, მიღებულია კიდეც კავკასიის კამიტეტისაგან და უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორისაგან გადაცემულია ფინანსის მინისტრთან, ღმერთმან ინებოს, რომ ქუთაისის გუბერნიის სამღვდელოების ხვედრის გაუმჯობესობას არავითარი დაბრკოლება არ მიეცეს უმაღლეს ადგილებში.

ლელო.

---

## ახალი [illegible]

რუსულ სატირიულ „ფალანგა“ გარდა, რომლის რედაქტორად ზ. ივ. ფითოევია დამტკიცებული და თანამშრომელად ზ. სიმბორსკი, მომავალის წლიდამ გამოვა კიდევ მეორე რუსული გაზეთი, სახელად „судебные Порядки“ (სასამართლო წესები); ეს გაზეთი გამოვა კვირაში ერთხელ. იმის რედაქტორად დამტკიცებულია ზ. ყარაბაგოვი.

***

გაზეთს „კავკაზში“ დაბეჭდილია ტფილისის „ქველ მოქმედ საზოგადოების“ (შარშანდელი) წლიური ანგარიში, რომლიდამაც ვტყობულობთ, რომ ამ საზოგადოების მზრუნველობაში შარშან 7 პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ყოფილა და 1 მცირე-წლოვანთ ყმაწვილებისათვის თავ-შესაფარი სახლი; ამას გარდა საზოგადოება სრულის თავის ხარჯით ინახავდა სკოლაში 8 ობოლს და 13 უძლურ მოხუცებულს აძლევდა საზრდოს თვეში 3 მანეთიდამ თუმნამდინ.

საზოგადოების სკოლაში შარშანდელის წლის განმავლობაში იზრდებოდა სულ 333 შაგირდი, ამათში 80 ვაჟი და 253 ქალი. ქართველები ამათგან იყვნენ 108, რუსები—170, სომხები—29,—ბერძნები—10, ნემეცი—1, პოლშელი 3, იტალიელი—2 და ათი ურია.

შემოსავალი სხვა და სხვა წყაროებიდამ საზოგადოებას ჰქონდა სულ 12,970 და 65 კაპ. გასავალი კი—12,350 მან.

***

---

თუმცა სახელები დაარქვეს, ხალხს თითქოს გარეგნობით არ უყვარდა, მაგრამ ტატე სულით და გულით უყვარდა ყველას: მთელი სოფლის თვალის დამჭერი ის იყო; არ გამოეპარებოდა, თუ სად ვის ვენახში გადავიდა, ვის ყანაში ვისი საქონელი დაიარება; ვისი ხარ-კამეჩი უფრო დაწუნკებულია; შეატყობინებდა, რომ უსიამოვნობა არ მოსვლოდათ.

საწყალი ტატე ქვეყნისთვის იყო დაბადებული, მაგრამ თვალი დაუდგა უსწავლელობას სოფელში დაატრიალა და ფართეთ ვერ გაშალა თავის გულის წადილები.

II

გაიგო თუ არა ტატემ, რომ ჭალაში საქონელი შეუშვიათ, ელდა ეცა; ეწყინა, რომ ხალხი თავის პირს გადაუდგა: ჭალას ენკენისთვის ნახევრამდინ ხელს ნუ ვახლებთ, ბალახი დავზოგოთ, რომ ზამთრის პირამდინ იოლათ წავიდეთ, სხვა საჭმელი არ დასჭირდეს. ეწყინა, რომ არა ერთხელ ექნა ჩხუბი თავის მოძმე სოფლელებისათვის, რომ, კაცო, ნუ ხართ ორპირები, ერთმანერთის მოღალატე და დამღუპველნიო,—მაგრამ ვის ესმოდა? მაშინ ყველა თავს დააკანტრუშებდა, ასრულება კი ავიწყდებოდათ.

უთხრა თუ არა მწყემსმა, რომ ჭალაში საქონელი შეუშვითო, იმ წამშივე გაქანდა ბუტბუტით მეველეებთან.

— ტიპრა, ბიჭო, ტიპრა! კარზე გამოიხედე, ჩასძახა მეველეს, რომელიც ლობიოს ჯამს მოსჯდომოდა და ის იყო პურის ლუკმა დაატრიალა ამოსაღებად. მეველემ ლუკმა გააგდო, თითები ლოკვით ჩაიწუწნა და ერდოს შემოხედა.

— რომელია? ბიჭო, ტატე, შენა?

— გამოიხედე მეთქი კარზე, შე პირი-კომლ-გასაწყვეტო, თორემა...

— ჯვარი სწერია, ჯვარი, რო ამას არ სტკენოდეს-რა, შე სისხლის გუდავ, შენა! მოგიარა სამთვარიომ?! ამოსძახა ტიპრას გულ-დამწვარმა დედამ, რომელსაც ოთხ ქალში ეს ერთი ვაჟი ებადა.

— მარიამავ, დედა-კაცო, რა შენი საქმეა... აქ გამოდი მეთქი, კაცო! მეველე არა ხარ შენა, ჰა! მითხარ ერთი-და!!

— რამ გაგაგიჟა, კაცო! რა გაღრიალებს... მერე, რა არი, რო ვარ?

— ღმერთმა ნუ იცის შენი თავი და ი შენი დამყენებლისაცა, დაიწყო კვლავ ხმა-მაღლივ ყვირილი ტატემ და ახლო-მახლო მეზობლები მოცვივდნენ. კაცო, მეველეები, შვილო, ვინ დაგაყენათ? სოფელმა არ ამოგარჩიათ, ჩვენ არ გაძლევთ ჯამაგირსა! რათაო, რისთვინაო, ჰა? იმიტვინა, რომა თქვენ ყოველიფერს ყური უგდოთ. კაცნო, უენონი ხომ არა ხართ? ხმა ამოიღეთ შვილოსა, შემოდგომა კარზე გვადგა, აგერ ზამთარიც შემოგვიტევს. მინდვრის მოსავალი სუ კალიამ მოგვიტელიპა; ე ჭალა დარჩა, შვილოსა, ვსთქვით, რო ზამთრამდინ იქ შევიოკებთ საქონელსაო...

— მერე და ი დალოცვილი, რა ბალახია! სწორეთ ძუძუზე სცემს ი ძურწა და ხბოშუბლა!.. სთქვა ერთმა გლეხმა.

— ჰო და რო სცემს, იმიტომ აჭმევთ უსწორ-მასწოროთა საქონელსა? ჰა!.. იმას ვამბობდი, ბიჭო, შვილო, ე უპირულობა რა არი: სოფელმა არ დავსდეთ, რომაო ეკენითვემდინ ჭალაში საქონელ ნუ შეუშვებთო? ჯერ ერთი ესა, რომა სიმინდი მოსაჭრელია; მეორე, რომა ბალახი დაიზოგება და შემოდგომის ღამი ხარისთვინ კაი ღვთის წყალობა იქნება...

— მერე, ტატე, ვის შეურეკია? ჰკითხა ტიპრა-მეველემ და მიწაზე დაბჯენილ კომბალს ზნექა დაუწყო.

— სად არიან ი შენი ამხანაგები, დაუძახე ბაბლიასა; ი ფეხებს რო ძლივს დაათრევს და ძილით კვდება... ვოჰ შიმე! სოფელია ესა, სოფელია?!!.. ისეთებს დააყენებენ, რო ჩხირის გაბრუნების მოხერხება არა აქეთ.

ტიპრა გაქანდა და რამდენგან გადააწყდა ხერგებს და შეუკურთხა ტატეს, ვინ იცის; დაუძახა ამხანაგებს. ისინი გაშრნენ. ბაბლიამ კისერი მოიქექა, აიღო კომბალი ხელში და მალი-მალ წამოიძახებდა გაუგებარს, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ხმებს და სიტყვებს: ჰა, ბიჭო... ახლა... ი და ის ემე... ეტყობოდა სიტყვას ველარ ახერხებდა, რადგან იცოდა, რომ ტატეს ხალხიც შეყრილი ეყოლებოდა და ძალიანაც შესთათხავდა. მოვიდნენ ხალხთან, იღლიაში ჯოხებ ამოჩრილ-გაშეერილები.

— საღამო კარგა ყოფნისა, ხალხნო! წაიბუტბუტა ბაბლიამ თავ-ჩაქინდრულმა და ცხვირზე ხელი მიისვმოისვა.

— ეგრე, ეგრე, შვილოსა! ერთორს აჭამეთ მთელი სოფელი, ერთორსა; ზიგო და ზიდო გვეყოფიან მთელ სოფელსა? იმიტომ არა ხართ, რო ყური უგდოთ მოსავალსა, ჰა? მა რის მეველეები ხართ, თქვე ოჯახქორებო?!

— ეე, ტატე, დაიცა, ეგრე რო

ახალციხის გვერდით მდებარე სოფ. რაბათიდამ გვწერენ, რომ ქალაქის გამგეობისაგანაც სრულიად დავიწყებულია ჩვენი უბანიო: ფარნებს არ ანათებენო და აქ ბევრი უწესოება ხდება ვაჭრებისაგანაო. სხვათა შორის სოფლიდამ ჩამოსულ ხალხს გზაზე უხვდებიან გალმიდამ, ქალაქიდამ, მოსული ვაჭრები და რაც რამ გააჩნიათ გასასყიდი, თითქმის ძალით სტაცებენ ხელიდამაო.

კორრესპონდენტი ითხოვს, რომ ამ გვარ რაბათის შეწუხებას, ვისაგანაც ჯერ არს, ყურადღება ექმნეს მიქცეულიო.

* *
*

ზ. ჭიჭინაძე გვთხოვს შემდეგი წერილი დავბეჭდოთ:

„ამ თვის სამს მე გარდმომცა სომხურიდამ ნათარგმნი ფარსი ტერ-გრიქორიანცისა „ვუი, ქა, ჩემო ვეჩერო“ ნათარგმნი სილნაღელი ტერ-მლიშე ტერ-ასტვაწატუროვისა, რომელიც უნდა გადამეცა დასაბეჭდათ.

„მხოლოთ, ჩემდა საუბედუროთ და ჩემდა შესარცხვენათ ავტორის წინაშე, იმავე დღეს მომპარეს ზემოხსენებული პიესა და პოემა „ძველს დროებზე“ ბატ. აბულაძისა.

„იმედი მაქვს, რომ, თუ ვისმეს ჩაუვარდება ეს ზემოხსენებული წერილები, წარმოადგენს ან „დროების“ რედაქციაში და ან ჩემს წიგნის მაღაზიაში, რომლის ადრესიც „დროებაში“ ცნობილია.“

# უცხოეთი

წვრილი ამბები. ოც-და-ცხრა ენკენისთვეს ინგლისის მმართებლობას პასუხი მიუღია ავსტრიისა და გერმანიისაგან ოსმალეთის შესახებ სახელმწიფოთა მოქცევაზე. ავსტრია და გერმანია უარს ამბობენ ოსმალეთის წინაამდეგ რაიმე ძალდატანებითი ღონის-ძიების მიღებაზე.

ინგლისური გაზეთი *Pall Mall Gazette*-ის აზრით დულცინიოს დათმობის საქმე ეხლა თუმც საუკუნოდ დამარხულად ჩაითვლება, მაგრამ გლადსტონის პოლიტიკა მაინც გატანილად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც იგი ზედ-გავლენა, რომელიც სახელმწიფოებმა უკვე იქონიეს ოსმალეთზე, ამ უკანასკნელს იძულებულს ჰყოფს ბერლინის ტრაქტატის სხვა მუხლების შესასრულებლად.

—

იტალიის მმართებლობის გაზეთში გამოცხადებულია იმ პირთა სრული პატივება, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ მმართებლობის წინაამდეგ მომართულ უკანასკნელ მოქმედებაში. პირველად განათავისუფლეს გარიბალდის სიძე—ღენერალი კანციო.

—

„რეიტერის სააგენტოს“ სიტყვით, გასრულ ენკენისთვის ნახევარს, ოსმალოს ქურთების შეიხის აბდულ-ლახის შვილს მოუგროვებია ჯარი, ძალით შესულა სპარსეთში, სადაც შეერთებია იქაურ ქურთების უფროსს ჰამზეხ-ალის. ამ უკანასკნელს მთავარ-უფროსობა მიუღია საკუთარს და აბდულ-ლახის შვილის ჯარზე, მოუოხრებია ლაგიჯანის ოლქი და მოუტაცნია ორი ზარბაზანი. სუჩ-ბულაკის გუბერნატორი, რომლის საცხოვრებლის ახლოს ჰამზეხ-ალის გაუვლია, თავ-ზარ დაცემული 300 მხედრით გაქცეულა. ქურთებს აულიათ ერთი ციხე, სულ დუხი 50 მილზე დაახლოვებიათ თავრიზს, სადაც ყველა შეშინებულია თურმე. ქურთების რიცხვი 15,000-მდეაო; მარტინი-ჰენრის თოფებით არიანო შეიარაღებულნიო. სპარსეთის ერთი ღენერალი თავრიზში წასულა ჯარის მოსაკრებადო.

## ცუდი ალმწერი კარგი საქმისა „დამსწრე“

ბატ. „დამსწრეს“ თავის სტატიებში *) ზოგი ჩემი სიტყვები ერთობ და ერთობ დაუმახინჯებია. ეს კიდევ არაფერი, მაგრა მაგარი ის არის, რომ ბ. დამსწრე ზოგ ისეთ სიტყვებს მაწერს, რომლებიც მე არამც თუ არ მითქვამს, გულშიაც არ გამივლია. აი ამ გარემოებამ მაიძულა მოვცდენილიყავ ამ უფერულ წერილის დაწერაზედ. აი საქმე რაში არის. ბ. დამსწრე სწერს:

1) „ლოცვები უნდა ასწავლოს სალმვთო სჯულის მასწავლებელმა, მაგრამ ცოტა და მოკლე და ისეც მეორე წელიწადს.“

მე კი ვსთქვი ასე: ლოცვები უნდა ასწავლოს სალმთო სჯულის მასწავლებელმა პირველ წელიწადსვე, მაგრამ „მამაო ჩვენოს“ გარდა ცოტა და მოკლე... ხოლო „სიმვოლო სარწმუნოებისა“ უნდა შესწავლულ იქმნეს მეოთხე წელიწადს. ეს ერთი.

2) „ძველი აღთქმის ისტორიიდამ არაფერი არ უნდა უთხრას, რადგან ისინი ძალიან ძნელი გასაგებია ბავშებისათვის.“

ეს სიტყვები მე არამც თუ არ მითქვამს, ჰაზრათაც არ მომსვლია, არც, რასაკვირველია, ბ. დამსწრისათვის მიმინდვია, რომ ჩემს მაგივრად შეეთხზა. ესეც მეორე.

3) „ბავშებს, ჩემის აზრით, სწავლება ამ საგანზედ ადგილობრივ დღესასწავლებიდამ უნდა დაუწყონ. ამას მოითხოვს პედაგოგის კანონი. დღესასწაულების ახსნის დროს საჭიროა სურათები.“

მე კი ვსთქვი ასე: ბავშებს, ჩემის ჰაზრით, სწავლება ადგილობრივ დღესასწაულებიდამ უნდა დაუწყონ და პირველი გაკვეთილის საგნათ უნდა იყოს იმ ხატის ისტორია, რომელიც სკოლაში ჰკიდია. და არა ღმერთი და მისი თვისებაები, როგორც ახლად გაჭედილი პროგრამმა მოგვითხრობს. ამას მოითხოვენ პედაგოგიის კანონები: ბავშს უნდა ასწავლო ჯერ ადვილი და მერმე ძნელზედ უნდა გადახვიდე, ჯერ ახლობელი და მერმე შორეული და სხვ. დღესასწაულების ახსნის დროს აუცილებლად საჭიროა სურათები. ეს ისე ცხადია, რომ ამის დასამტკიცებელ საფუძვლებზედ ლაპარაკი, სწორედ მოგახსენოთ, სრულებით ტყვილა დროების დაკარგვად მიმაჩნია. ხოლო სურათების უქონლობა სკოლაში სწავლის დროს მარტო იმ მიზეზისაგამო, რომ ვითომც ისინი ძლიერ ძვირია, ეს ერთობ მოკლე და წინ გაუჭვრეტელი მოსაზრებაა, რადგანაც სურათებს კი არა სხვა წიგნებსაც არ იძლევებიან ტყვილად (უფასოდ.

4 „ბ. იაკ. ფხაკაძემ ილაპარაკა: ბევრი, ბევრი მოსაზრება მოიყვანა,

---

*) იხილე „დროების“ 205, 206 ნომრებში სტატ. „მასწავლებელთა კრება ქუთაისში“ და „ქუთაისის მასწავლებელთა კრება.“

---

ილი, შენ თითონ კი ნახე, რო საქონელი ჰყავდათ გიგოსა და ფიდოსა? ჰკითხა ერთმა მეზობელმა.

— რა საჭიროა, ძმაო, ი წმიდა ელია მრისხამდეს, ი კუბოსა ღვთისშობელმა ამომწყვიტოს, თუ ჩემი თვალით არ მენახოს. აი, როგორც შენ ემ საათში გხედავ, ისე ვნახე ნაფეხურები ჩემი ბაგი გვერდზე; განა რამდენჯერ; რათა, შვილო და ძმაო, ერთი და ორი რათ უნდა ბრიყობდეს მთელ სოფელსა! პირი პირია: გვითქვამს, გავიაროთ ერთ პირზე. ვერ დავებრიყვებინებით, ვერა!!

— წავიდეთ, ბაბლი, წავიდეთ ი ქალაზე და საქონელი ამოვრეკოთ და ხვალ ჯარიმა გადავახდევინოთ.

წავიდნენ ნელ-ნელა ბუტბუტით. ტიპრას ბანზე დარჩა ხალხი და ტატე; დაიწყეს ბასი ამ მთისაზე, იმ მთისაზე; ზოგმა კალია და მათრახები მოიგონა; ზოგმა სეტყვა და ნიაღვარი, მაგრამ ტატე წაიყვან-წამოიყვანდა და ქალაზე ჩამოაგდებდა ლაპარაკს.

— არა, რა საჭიროა, ტატე! რო ე სოფელი, ძმაო, ამოსავარდნია, რო ერთმანერთის შური და მოჯიბრე ხალხი ვართ, მაგაში ეჭვი არ არი. ჩვენ ერთმანერთს არ ვზოგავთ და ურია რა გავამტყუნო, რო არ დაგვინდოს.

ამ დროს შემოისმა გაჩქარებული ფეხის ხმა, ჯოხის რაკუნი და მიწაზე თროკიალი; მომავალებელი მალი-მალ ახრანტალებდა და მოლაპარაკობდა. ხალხმა ამ ხმაში იცნო გუთნის-დედა გიგო და თავები მიიღეს. მოვარდა გიგო გაცოფებული, გული ასდიოდდასდიოდა და ყელში მოჩრილი სიბრაზით ხმა უწყდებოდა.

— რა იქნა ი ყვითელი, ყვითელი? ი აკლდამასავით რო გამხმარა! და რა რომ დაინახა გიგომ ტატე მიუბრუნდა:

— არა, შე ავყიავ, ავყიავ, ჩემზე გამოიჩინე ბიჭობა! სად ხარ ლობე დაბალოვო? შვილოსა, ბრმა გქონდა ე თვალები? მარტო ჩემი გუთნეული ნახე? თუ არა და მე ხო ქალაში არ შემირეკია.

— რას ამბობ, კაცო, ნაფეხურები ვნახე-მეთქი და ეხლა შენი გუთნეულიც უნახავთ. კარგა გაიგე, რო შენ არ ეყოფი სოფელს, არა!!

— ჰაჰაი! სისხლის გუდავ, სისხლის გუდავ! შე რჯულ დავარდნილო, ფიდოს რო დაუდის ყოველ დღე საქონელი, მაშინ იმას ხმას არა სცემ, მე კი მეცით... გეშინიათ განა? მთელი, სოფელი, შვილოსა, ი ერთ კაცს მუჭაში უჭერიხართ, და როცა ჩემთანას მოაწროზთ, წიხლს აჭერთ! რატომ იმაზე ხმას არ იღებთ, ჰა? მითხარ ერთი!..

ამ ჩაკითხვამ ცოტა არ იყო კბილი მოსტეხა, შეაჩერა ტატე. „აი დალახვრა ღმერთმაო, იფიქრა იმან, რატომ ვერ გავიგე, თუ იმასაც დაუდიოდა“. ხალხმა აქა-იქ წაიბუტბუტა: მე და ჩემმა ღმერთმა, გიგო მართალს ამბობს.

— თუ მე არ ვეყოფი, შვილოსა, კვალად განაგრძო გიგომ, არც ის, ფიდო, ეყოფა მთელ სოფელსა. თუ არა და ჯერ გაიგე და მერე ისე ატეხეთ შფოთი. ჭალაზე დღეს გუთანი მება, ი მარმარა ღელეზე... აი არდიგარდმო მიწა რო მაქს, აი სწორეთ იქა... გუთნის გამოშვების დროს ხარი გამოუშვით და იქვე ღელის პირზე, ხნულთან, წააძოვეს მეხრეებმა, მინამ სერზე გარეკამდენ. ვაი, შენ ჩემო თავო, და განა მე ქრისტიანი სული არ მიდგა, რო...

— ჰო და! წამოიძახა ხალხმა.

ამ დროს მოისმა ლაპარაკი, სიცილი: მეველეები მოლაპარაკობდნენ, ეტყობოდა ვერა ენახათ-რა და სიხარულით, რო პირნათლათ გამოვლენ ხალხთან, ენა ამოედგათ. დაგილონდეს მტერი, ტატე დაღონდა, ცივმა ოფლმა დაასხა და საქოჩრიდამ კოჭებამდე ცხელმა ჟრუანტელმა ელვასავით გაურბინა.

ეე, გამტყუნდა ტატე, სირცხვილეული დაბრუნდა შინათკენ, მაგრამ თავი ინუგეშა იმ აზრით, რომ „მე ხომ განგებ არ მოვახდინე ეს ამბავიო, მე სოფლის გულითვინ ჩავიდინე, მაგრამ, ეს ოხერი, ი ფიდო როგორ გამომეპარა, როგორა!? სუ ეგრე ჰყავს იმას დაბრიყვებული ხალხი; სუ ეგრე სოფლითა ცხოვრობს, სუ ღლეტითა, და ერთხელ კი კრინტი რა არის, კრინტი არ დამიძრამს; შევირცხვა, ჩემო თავო, ნამუსი, შევირცხვა!“

ამ ფიქრებით მიწვა დერეფანში ბოძთან და განიზრახა, რო ლაგამი ამოედო პირში ი ქვეყნის ამომგდები კაცისათვის, სოფლის მავნებელი პირისათვის, იმ საშიში კაცისათვის, რომელსაც ფიდოს უძახდნენ და რომელზედაც ლაპარაკმა ის ხალხში გააწითლა. მიეძინა ამ ფიქრებით და გამოღვიძებისათანავე გაახსენდა თავისი უხერხული საქმე და ტანში მომცივანივით გააჟრჟოლა.

წაკოლა.

30 ენკენისთვე, 1880 წ.

რომელიც ყველამ კარგად ვიცით ნამეტნავად ხშირად ,ურევდა ბ. სემიონოვთან ლაპარაკის დროს სიტყვებს: **педагогическая эрунда, педагогическая чепуха** და სხხ. ბევრი მართალი სთქვა, მაგრამ ისე უზდელათ ილაპარაკა, რომ ყველა მსმენელებზედ ძლიერ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.“

აქ ბატ. დამსწრეს სიცრუის და სიცუდის საზღვარიც დავისწყებია. ის ამბობს: ბევრი მართალი სთქვა მაგრამ უზრდელად ილაპარაკაო. ზევით კი მოჰყავს გასაკიცხავად ორად-ორი ვითომც უზრდელი სიტყვმ: **„эрунда, чепуха!“** რა მოკლე ფეხები აქვს ტყუვილს! „სხვა“ რაღა იყო? მართალია, მე ეს ორი სიტყვა ორჯელ ვიხმარე ლაპარაკში. მაგრამ ნუ თუ ეს ორი სიტყვა ისე მარილ მოყრილი იყო, რომ ყველა ჩემი ნალაპარაკები გამლაშებია?

ბატ. დამსწრეს, სჩანს, არ წაუკითხავს, არ გაუგონია და არც თვითონ მოუსაზრებია ეს უბრალო ჭეშმარიტება: აზრი და მისი წარმომთქმელი ერთი და იგივე არ არის. რაც პირველზედ არის ნათქვამი, ის მეორეს, არ მიეწერება. მე ზემოხსენებული სიტყვები: **эрунда, чепуха,** ვიხმარე ბატ. სემიონოვის აზრის შესახებ და არა თვითონ სემიონოვის პიროვნობაზედ, ე. ი. მე აზრთან მქონდა საქმე და არა კაცთან. ბატ. სემიონოვისთვის რომ მე მეთქვა: „თქვენ ასეთი ხართ, თქვენ ასეთი ხართ მეთქი; თქვენ ასეთი დამპალ-დაობებული აზრები გქონიათ მეთქი“,—მაშინ იქნებოდა უზრდელობა. ეს სხვა საქმეა. რაკი კაცი ერთხელ თავის აზრს წარმოთქვამს საზოგადოებაში, ან დასწერს მაშინ ყველას, ვისაც კი საქმე გაეგება, ნება აქვს წარმოსთქვას იმაზე თავისი აზრი; ავტორის პიროვნებას ეს არ შეეხება. აგრეთვე რომ ვინმემ როდისმე და რისთვისმე რაიმე ცუდი სთქვას ავტორზედ, იმით მისგან ნათქვამი აზრი არ გაცუდდება.

გასაკვირველია, რომ ბატ. დამსწრეს სხვების სიტყვები დაწვრილებით მოჰყავს, ჩემი კი სრულიადაც არა. მარტო ორიოდ სიტყვას მიხტომია. რაღა ჩემის სიტყვების გულისათვის გაცხრილი ან და იმ კურთხეულის მეხსიერება?

რადგანაც იმ დალოცვილმა იკისრა ეს საქმე, თავისი კომმენტარიებისთვის უნდა თავი მიენებებია და, შეძლებისა და გვარად, სიტყვა-სიტყვაზედ დაეწერა ის მხოლოდ, რაც ითქვა კრებაზედ; მკითხველები უფრო კარგად და ადვილად გაიგებდნენ იმას, თუ რომელი ჩემ აზრებთაგანი ახირებულია, რომელი უზრდელად ნათქვამია და სხვ.

ეს მასწავლებლების კრება პირველი და უკანასკნელი არ არის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მომავალში მოხდება როგორც მთელი კავკასიის სამასწავლებლო ოლქის გიმნაზიების და პროგიმნაზიების, აგრეთვე სას. სემინარიების და სასწავლებლების მასწავლებლების წარმომადგენელთ კრებები. სულით და გულით ვისურვებ, რომ იმ მომავალ კრებებს მაინც ღმერთმა აშოროს ამისთანა ცუდი აღმწერი.

ი. ფხაკაძე.

3 ოქტომბერს, ქუთაისი.

---

# განცხადებანი

—

## ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 ღვინობისთვეს ქართული ტრუპპისაგან წარმოიდგინება არწრუნის თეატრში:

I

### ნაპერწკალი

ორ მოქმედებიანი კომედია გადმოკეთებული პ. უმფიანისაგან.

II

სცენები

### საპატიმროში

აკ. წერეთლისა.

III

### ჯერ დაიხოცნენ და მერე დაქორწილდნენ

ორ მოქმედებიანი კომედია რაფ. ერისთვისა.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში და აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში.

დასაწყისი $7^1/_2$ საათზე.

---

### ვიღებ

ეკკლესიის კანკელს

ყველა მოწყობილებით და სახლის მოწყობილების ჩუქურთმას მოსაჭრელად.

ჩემი ქარხანა იმყოფება საპიორნის ქუჩაზედ, ბერძენოვის სახლში, № 18

კანკელისა და მებელის ჩუქურთმის მჭრელი

დავით ივანეს-ძე გიგაური.

(10—1)

---

სავაჭრო სახლი

### იაგორ ქასუმოვი და ამხ.

უმორჩილესად სთხოვს პირველ და მეორე ხარისხის პაისჩიკებს მობრძანდნენ მთავარ კანტორაში ამხანაგობის ნამდვილ პაემის მისაღებად იმ მოწმობის მაგივრად, რომელიც იმათ დროებით ჰქონდათ მოცემული.

კანტორა იმყოფება ერევნის მეიდანზე, ჯაყელის სახლებში და გაღებულია ყოველ დღე დილის 9 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ, უქმე დღეებში კი დილის 9 საათიდამ 11-მდინ.

(5—1)

---

**წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება** სთხოვს ბ.ბ. საზოგადოების წევრთა დაესწრონ ტფილისის სახალხო სკოლის გახსნას სამშაბათს, 14 ოქტომბერს, დილის 11 საათზე.

შკოლა იმართება საპერნის ქუჩაზე, 41 №-ში, ბაბანასოვის სახლებში.

საზოგადოების მმართველობა სთხოვს იმ მშობელთა, რომელთაც განაცხადეს სურვილი შვილების შემოყვანისა ამ სკოლაში, მობრძანდნენ თავიანთი შვილებით ამ სკოლაში, ზემოთ დანიშნულ დროს. 3—1

---

მედიცინის ექიმი

### იაკუბოვიჩი

იღებს ვენერიულ ავათმყოფებს სამშაბათობით დილის 11 საათიდამ 12 საათამდინ.

ადრესსი დოქტორისა: გოლოვინის პროსპექტი, თ. ივ. მუხრანსკი სახლი. (6—2)

---

სოლოლაკზე, სადოვის ქუჩაზე, მელიქოვის სახლში, № 43 არის

გასაქირავებელი

### სადგომი

ხუთი ოთახი, თავის სამზარეულოთი, სარდაფით და სხვა მოწყობილობით. ქირავდება წელიწადში ოთხას-ორმოცდა-ათ (450) მანეთად. დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან იქვე, სახლის პატრონთან.

5—3

---

პატენტიანი შროტკები

ომებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საწურავებით 2 მანეთიდამ ... 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ-დამ და ვედრები 1 მან-დამ; თეფშები 2 მ-დამ ინიდუჟ; შოკოლადის კანფეტები 20 კ-დამ თითო ყუთი და სხვ. ინგლისურს მაღაზიაში.

(100—66)

---

ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიაში (ალექსანდროვის ბაღთან რუსის საყდრის გვერდით)

იყიდება მარი ივანეს-ძის

### ბროსსეს

სურათები, თითო 30 კ. ამ სურათებისაგან შემოსული ფულით გამოიცემა თვით ბროსსეს ზოგიერთი სტატიები, რომელიც ფრანცუზულის ენიდამ ქართულად ნათარგმნია.

გარეშე მცხოვრებელთათვის ადრესი:

Въ Тифлисъ въ книжный магазинъ Зах. Чичинадзе.

(10—10)

---

### ახალი გამოფენა

ოთხი თვის მოქმედების ნაყოფი

„ფილიპოვიჩის და ამხ.“ ფოტოგრაფიისა

(საგანგებოდ აშენებულს სახლში)

გოლოვინის პროსპექტი, თ. ი. ზუბალოვის სახლი ტფილისის კრების გვერდით, ყოველ-დღე დილის 9 საათიდამ სალამოს 8-მდე.

10—10

---

დაიბეჭდა და ისყიდება



ლექსები იოსებ დავიდოვისა.

გამოცემული ი. დავიდოვისა და ვარდენ გოცირიძისაგან.

ფასი ორი შაური

**ისყიდება** შემდეგ ალაგებში: ტფილისში—ძმ. ჩარკვიანის და სხვების წიგნის მაღაზიებში. ქუთაისში—ზერარდის წიგნის მაღაზიაში. გორში—ტატო დოთიაშვილის საბაყლო დუქანში. თელავში—კირილე ჯაჭვაძესთან (აფთიაქში). ონში (რაჭაში) თ. ერმილე მიქელაძესთან და საგარეჯოს—სასოფლო დეპოში.

(6—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 Октября 1880 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი